ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 143

"24" მაისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა (კორპუსი) №29-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.11.037.003) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა (კორპუსი) №29-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.11.037.003) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 24 აპრილის №19.462.608 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ლარად) პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

					დანართი №1
		ქ. თბილისი, წულაძის ქუჩა (კორპუსი) №29 (ს/კ 01.17.11.037.003)			
№	**სახელი და გვარი**	**პირადი №**	**დაკავებული ბინის სართული და ბინის ნომერი**	**ფაქტობრივად დაკავებული ფართი**	**საკადასტრო კოდი**
1	ალექსანდრე კოპალეიშვილი	01002026448	სართული 1	112.99 კვ.მ	01.17.11.037.003.01.516
2	მაყვალა მეკოკიშვილი	36001042346	სართული 1	50.18 კვ.მ	01.17.11.037.003.01.517
3	ჯემალი ცეცხლაძე	39001035640	სართული 1, ბინა №2ა	39.91 კვ.მ	01.17.11.037.003.01.002ა